<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2018 წელი

ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ხიზაბავრის ქუჩის I ჩიხის გაგრძელების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, გაგრძელდეს ხიზაბავრის ქუჩის I ჩიხი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1:500
X=484452.25 Y=4626643.80
X=484389.84 Y=4626640.04
ხიზაბავრის I ჩიხი
X=484430.76 Y=4626616.36

03/170

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ლია ჯახვედაძეს

შპს 'სოლიდ დეველოპმენტის'
ს/კ – 405112514
მის – თბილისი, ჩერქეზიშვილის 17
მობ – 577 742212

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N189 (6.06.2017) – ით, გლდანის რაიონში, ხიზაბავრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხს ((მიწის ნაკვეთების (ს/კ – 01.11.12.018.244 და ს/კ – 01.11.12.018.212) საზოგადოებრივი სერვიტუტით დატვირთულ მონაკვეთებს)) მიენიჭა ხიზაბავრის I ჩიხის სახელწოდება.

აღნიშნულის საფუძველზე, მიწის ნაკვეთებს (ს/კ – 01.11.12.018.246, ს/კ – 01.11.12.018.245 და ს/კ – 01.11.12.018.240) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიენიჭათ შემდეგი მისამართები – ხიზაბავრის I ჩიხი N7, ხიზაბავრის I ჩიხი N7ა და ხიზაბავრის I ჩიხი N7ბ.

გთხოვთ, აღნიშული ჩიხი გამოაგრძელოთ მარჯვენა მხარესაც, რის შედეგადაც, მიწის ნაკვეთების (ს/კ – 01.11.12.018.226 და ს/კ – 01.11.12.018.245, რომლებიც სრულად არიან საზოგადოებრივი სერვიტუტით დატვირთულნი) სახელწოდება ასევე განისაზღვრება ხიზაბავრის I ჩიხით.

პატივისცემით,

დავით კვარაცხელია
დირექტორი

6.09.2017

№ 9647
"06" სექტემბერი 2017

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **03-031803753**

თარიღი: **06.02.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი შპს "სოლიდ დეველოპმენტის" დირექტორის 2017 წლის 6 სექტემბრის 9647 განცხადებაზე, ხიზაბავრის ქუჩასთან მდებარე ჩიხის სახელდების მთხოვნით (ს.კ.01.11.12.018.245). როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14- 59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან (სსიპ-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური) მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები. ჩვენი მოსაზრებით, ქუჩის განვითარების არეალმა უნდა მოიცვას ჩვენს მიერ რუკაზე არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია (იხილეთ დანართი). გთხოვთ, შეისწავლოთ განცხადებაში მითითებული გარემოებები და გამოგვიგზავნოთ ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.
გთხოვთ, სიტუაციური ნახაზი მოგვაწოდოთ შეძლებისდაგვარად შემჭიდროვებულ ვადებში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო - სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისია - კომისიის
თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01180781551**

თარიღი: **19.03.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის:თავისუფლების #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 06.02.2018 წლის #03-031803753 (06.02.2018 წ. #14-01180372528-60) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)



რუსუდან მირზიკაშვილი

X=484452.25 Y=4626643.80
X=484389.84 Y=4626640.04
X=484430.76 Y=4626616.36
1:500
N
S
E
W